საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000043690553817

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 35 30 / ივნისი / 2017 წ.

# განკარგულება

## საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დამატებით დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დამატებით დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2017 წელს დამატებით დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები თანდართული სახით.

2. დაევალოს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელს განახორციელოს საპროექტო წინადადებების ინიცირება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

3. განკარგულება გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის გამზ. №41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — თამარ ყეინიშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტი 2017 წლის რეგიონული პროექტები დანართი №2

| № | პროექტის დასახელება | პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე) | მ.შ. მიმდინარე წელს ფონდიდან მოთთხოვნილი თანხა | მ.შ თანადაფინანსება | პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქ. ახმეტის ყვარლის ქუჩის მოპირკეთება ასფალტო-ბეტონის საფარით. | 128500 | 122075 | 6425 | 20.08.2017წ.-01.12.2017წ. | |
| 2 | ქ. ახმეტის თბილისის ქუჩის მოპირკეთება ასფალტო-ბეტონის საფარით. | 277600 | 263720 | 13880 | 20.08.2017წ.-01.12.2017წ. | |
| 3 | სოფ. დუისში რკ. ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა. | 69800 | 66310 | 3490 | 20.08.2017წ.-01.12.2017წ. | |
| 4 | ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ალვანში N 1 ბაღის სამირკვლის გამაგრება | 41900 | 39805 | 2095 | 20.08.2017წ.-01.12.2017წ. | |
| | სულ: | 517800 | 491910 | 25890 | | |

ახმეტის მუნიციპალიტეტი AKHMETA MUNICIPALITY GEORGIA